## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**მორიგი სხდომის**

# ო ქ მ ი N1

ქალაქი ბათუმი 2024 წლის 31 იანვარი

11$^{00}$ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე – რამაზ ჯინჭარაძე.

**ესწრებოდნენ:**

ირაკლი თავდგირიძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ნატალია ზოიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

ზურაბ ნაკაიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

მინდია გოგუაძე - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;

დავით მახარაძე - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ლევან ცხოიძე - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

გოჩა მგელაძე - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;

ნერიმან ცინცაძე – საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

თენგიზ აფხაზავა - ფრაქციის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე;

ასლან ბალაძე - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

როსტომ ხალვაში - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

ლევან ბერიძე - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

ლევან ლოლაძე - ფრაქციის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის მოადგილე;

ნოდარ ლუმბაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე;

ნატო ნაცარაშვილი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

ნაზი ფუტკარაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

ბაჩი მექვაბიშვილი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

აკაკი გვიანიძე - საკრებულოს წევრი;

თეონა ბერიძე - საკრებულოს წევრი;

ნინო ცხვარაძე - საკრებულოს წევრი

რიჩარდ სირაბიძე - საკრებულოს წევრი;

ირაკლი ძიძიგური - საკრებულოს წევრი;

თეკლე კავაზაშვილი - საკრებულოს წევრი;

რევაზ ხარაზი - საკრებულოს წევრი;

ვაჟა დარჩია - საკრებულოს წევრი;

ქეთევან ლისტაკანიძე - საკრებულოს წევრი;

ილია ჯინჭარაძე - საკრებულოს წევრი;

ეკატერინე ზარია - საკრებულოს წევრი;

ირაკლი ზოიძე - საკრებულოს წევრი;

ალექსანდრე ვარშალომიძე - საკრებულოს წევრი.

**არ ესწრებოდნენ:**

მამუკა ქობულაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი ლომთათიძე - საკრებულოს წევრი;

კახაბერ ქაშიბაძე - საკრებულოს წევრი (საპატიო მიზეზით);

ნატალია ძიძიგური - საკრებულოს წევრი (საპატიო მიზეზით);

**სხდომას ესწრებოდნენ:**

– ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი – ნუკრი დეკანაძე;
– ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი – დავით კოპინაძე;

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:**

– საკრებულოს აპარატის უფროსი – რაულ ბოლქვაძე;

– საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი – ირაკლი თავართქილაძე;

– საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი – მადონა თურმანიძე;

– საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი – მზევინარ წულუკიძე;

– საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი – ლელა ნემსაძე;

– საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი – ბადრი წულუკიძე;

– პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ – რამაზ ჯინჭარაძემ. მი-ესალმა სხდომაზე დამსწრეებს, მიულოცა განვლილი საახალწლო დღესასწაულები და წარმატებები უსურვა. აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება საკრებულოს წევრთა ნახევარზე მეტი, სხდომა უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათ-ვალისწინებული 7 საკითხი.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრი-ვატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგუ-ლებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრე-ბულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე)

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგე-ბლობის უფლებით, აუქციონი წესით განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე)

**საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქ. N102-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ნუკრი დეკანაძე)

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმში, იმედაშვილის ქუჩა N22-ში მდებარე სახლზე დუგლას ზამთარაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების კულტურის ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – ლევან ცხოიძე)

**საკითხი 6.** „ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N53-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე მუსტაფა ჩახვაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების კულტურის ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – ლევან ცხოიძე)

**საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქუჩა N10-ში მდებარე სახლზე რამაზ სურმანიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიცი-პალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების კულტურის ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – ლევან ცხოიძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 30
1(ა. ვარშალომიძე)

არ ესწრებოდა:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა -12 (ნ. ნაცარაშვილი, ნ. ფუტკარაძე, ნ. დუმბაძე, ი. ძიძიგური, თ. კავაზა-შვილი, რ. ხარაზი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ე.ზარია, ა. გვიანიძე, ბ. მექვაბიშვილი, ი. ზოიძე)

საკრებულოს წევრი, აკაკი გვიანიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დღევანდელი სხდომა დაიწყო სამწუხარო ფაქტით, რომელიც შეეხება ბათუმში, შპს ,,სანდასუფთავების სამსახურის" თანამშრომლის, ბათუმელი მეეზოვის მირანდა გვიანიძის ტრაგიკულად დაღუპვის ამბავს, რაზედაც საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ყველა იმ ადამიანის ხსოვნას, ვინც მუნიციპალიტეტის სამსახურში დაიღუპა.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ თანამოქალაქეებს მოუწოდა, რომ დააფასონ მეეზოვეების შრომა. მუნიციპალიტეტს მერიას მოუწოდა, რომ მეეზოვეების ხელფასების მატება უნდა არსებითი და მათ მიეცეთ ღირსეული ანაზღაურება. ასევე რამდენიმე წელია აღინიშნება მეეზოვის დღე, მოუწოდა საკრებულოს, ოფიცია-ლურად დაწესდეს ბათუმელი მეეზოვის დღე.

საკრებულოს წევრმა, ნაზი ფუტკარაძემ მიულოცა განვლილი დღესასწაულები. აღნიშნა, რომ ლეონიძის ქუჩის რეაბილიტაციის გახანგრძლივების გამო გაჩერე-ბულია დაწყებული სამუშაოები და მოსახლეობა უკმაყოფილოა.

სხდომის თავმჯდომარემ რამაზ ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ მოწვეული იქნას მერიის კეთილმოწყობის სამსახური ქალაქში ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან დაკავ-შირებით. ასევე საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ მოითხოვა მოწვევა შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის" დირექტორის, მოუწესრიგებელ პარკირებასთან დაკავშირებით.

**მოისმინეს:** **საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბა-თუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძვე-ლზე, ასევე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, ქალაქ ბა-თუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონე-ბების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატი-ზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში ცვლილების შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით. ნუსხისა და გეგმის 228-240-ე პუნქტებში ცვლილება და 228-240 პუნქტების

ნაწილში პრივატიზების გეგმის ახალი რედაქციის ჩამოყალიბება, კერძოდ, ქონებების ერთ ლოტად განკარგვის შემთხვევაში თანხის გადახდის ვადად 12 თვის მითითება.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დაყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას 29
სხდომას ესწრებოდა: 2 (რ. ხარაზი, ა. ვარშალომიძე)

არ ესწრებოდა:
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 9 (ნ. ნაცარაშვილი, ნ.ფუტკარაძე, ი.ძიძიგური, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია, ა.გვიანიძე, ბ. მექვაბიშვილი, ი. ზოიძე, ნ. დუმბაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუ-თრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონი წესით განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი წლიური სარგე-ბლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალი-ტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების სარგებლობის ფორმით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალი-ტეტის ბიუჯეტში შეტანილი ქონების სარგებლობის საფასურის სახით.

მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დროს გამოყენებული იქნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა №009038723, 20.12.2023წ. დასკვნის შესაბამისად, №05.26.11.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 873,74 ლარს, საიჯარო ქირა 5% - 43,68 ლარი; საბოლოოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია 1 კვ.მ მიწის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს არანაკლებ 5%-სა 45,0 ლარით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, დაყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას 29
სხდომას ესწრებოდა: 2 (რ. ხარაზი, ა. ვარშალომიძე)

არ ესწრებოდა:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21

წინააღმდეგი – 0

არ მიიღო მონაწილეობა – 8 (ნ. ნაცარაშვილი, ნ.ფუტკარაძე, ი.ძიძიგური, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია, ა.გვიანიძე, ბ. მექვაბიშვილი, ი. ზოიძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთ-რებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქ. N102-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის სახელმ-წიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგუ-ლების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს თავმჯდომარის 2023 წლის 15 დეკემბრის N5/68885 (N04-1423349370-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში წარდგენილია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (N5007986723, 13.12.2023წ) კორესპონდენცია, რომელშიც დასმულია საკითხი ქალაქ ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა N102-ის მიმდებარედ არსებული 221,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.26.11.042) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო"-ს მიზანშეწონილად მიაჩნია და ითხოვს, რომ განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა N102-ის მიმდებარედ 221,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ.05.26.11.042) სახელმ-წიფოსათვის საკუთრებაში გადაცემა, მისი შემდგომში სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას 28

სხდომას ესწრებოდა: 3 (რ. ხარაზი, ი. ძიძიგური, ა. ვარშალომიძე)

არ ესწრებოდა:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21

წინააღმდეგი – 0

არ მიიღო მონაწილეობა – 7 (ნ. ნაცარაშვილი, ნ.ფუტკარაძე, ქ. ლისტკანიძე, ე. ზარია, ა. გვიანიძე, ბ.მექვაბიშვილი, ი. ზოიძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინი-სტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირო-ბების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ნუკრი ლეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების მიღების მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცება. „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმი-ანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" (N2738-XIმს-Xმპ; 04.04.2023) საქა-რთველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტებმა 2024 წლის 1 იანვრამდე უნდა დაადგინონ „მათ ადმინისტრაციულ საზღვრებში გასა-შენებელი მწვანე ნარგავების სახეობები, აგრეთვე მწვანე ნარგავების გაშენების, მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის გაცემისა და მათი საკომპენსაციო რგვის განხო-რციელების წესი და პირობები."

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებული იქნა და წარმოდგენილია შესაბამისი დანართებით, სადაც ასახულია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვ-რებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების სია".

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 27

არ ესწრებოდა: 4 (რ. ხარაზი, ი. ძიძიგური, ა. ვარშალომიძე, ი.ჯინჭარაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 6 (ნ.ნაცარაშვილი, ნ.ფუტკარაძე, ქ.ლისტაკანიძე, ე.ზარია, ბ.მექვაბიშვილი, ი.ზოიძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმში, იმედაშვილის ქუჩა N22-ში მდებარე სახლზე დუგლას ზამთარაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების კულტურის ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოიძე)

მომხსენებელმა მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დუგლას ზა-მთარაძე იყო საქართველოს არქიტექტორთა კავშირისა და საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, ქვეყნის დამსახურებული არქიტექტორი. მიღებული ჰქონდა უმაღლესი ჯილდო - საქართველოს არქიტექტურის რაინდი. იგი ასევე გახლდათ ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი 1963 წელს.

1963 წლიდან მუშაობდა, თანაავტორებთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო ცენტრების გეგმარებაზე, ასევე საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სასოფლო დანიშნულების შენობა-ნაგებობების გეგმარებაზე. მათ შორის აღსანიშნავია ქ. ბათუმის დელფინარიუმი (1965), სამხატვრო ტექნიკუმი (1967). 1964 წლიდან მუშაობა დაიწყო საპროექტო ინსტიტუტ "თბილქალაქპროექტში", ქ. ბათუმში სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციებში; 1989-1992წწ. იყო სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ "საქსოფლმშენსახპროექტის" მთავარი ინჟინერი; 1992-1998წწ. ამავე ორგანიზაციის დირექტორი; 1998 წლიდან შპს "გონის" და შპს "დ. ინტერპროექტის" დირექტორი.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 27
4 (რ. ხარაზი, ი. ძიძიგური, ა. გვიანიძე, ა. ვარშალომიძე)

არ ესწრებოდა:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0
არ მიიღო მონაწილეობა – 6
(ნ.ნაცარაშვილი, ნ.ფუტკარაძე, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია, ბ.მექვაბიშვილი, ი.ზოიძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 6.** „ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N53-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე მუსტაფა ჩახვაძის მემორი-ალური დაფის განთავსების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნი-ციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების კულტურის ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – ლევან ცხოიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1937 წლის ოქტომბერში ფალსიფიცირებული ბრალდებით დაპატიმრებული მაშინდელი საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე და აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი მუსტაფა იუსუფის ძე ჩახვაძე, იყო გამორჩეული საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე. წლების განმავლობაში მუშაობდა არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. მისი დაპატიმრების გამო რეპრესიები შეეხო მის ოჯახსაც. 1956 წელს მუსტაფა ჩახვაძე რეაბილიტირებული იქნა. საქა-რთველოს პარლამენტის 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის საფუძველზე, მუსტაფა იუსუფის ზე ჩახვაძე აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 27

არ ესწრებოდა: 4 (რ. ხარაზი, ი. ძიძიგური, ა. გვიანიძე, ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 27
წინააღმდეგი – 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქუჩა N10-ში მდებარე სახლზე რამაზ სურმანიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ექიმი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე და პუბლიცი-სტი რამაზ სურმანიძე 87 წლის ასაკში გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე იგი ბერად აღიკვეცა და ბერ-მონაზონი ანდრია ეწოდა.

იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს, ასევე იყო აჭარის ჯანდაცვის მინისტრი, მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და ბათუმის საკრებულოს წევრი.

რამაზ სურმანიძე არაერთი ისტორიული, პუბლიცისტური და სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მას ეკუთვნის წიგნი „1937 წლების ტრაგედია ბათუმში", სადაც 640 რეპრესირებული ადამიანის შესახებ ცნობები და ფოტო მასალა აქვს მოძიებული.

რამაზ სურმანიძე იყო საქართველოს და აჭარის დამსახურებული ექიმი, ღირსების ორდენოსანი, მინიჭებული ჰქონდა ტბელ აბუსერისძის, ილია ჭავჭავაძის და ზაქარია ჭიჭინაძის სახელობის პრემიები. იყო „საპატიო ბათუმელი" და „საპატიო შუახეველი".

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

| | |
|---|---|
| კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: | 28 |
| არ ესწრებოდა: | 3 (რ. ხარაზი, ი. ძიძიგური, ა. გვიანიძე) |
| კენჭისყრის შედეგები: | მომხრე – 28 |
| | წინააღმდეგი – 0 |

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე**
**რამაზ ჯინჭარაძე**

**სხდომის მდივანი: მზევინარ წულუკიძე**